

სკოლა _____ კლასი _____

სახელი _____ გვარი _____

ტელეფონი _____

ამოცანა 1: ფერად-ფერადი რვაფეხები

თუ რვაფეხას ფეხების რიცხვი ლუწია, იგი ყოველთვის სიმართლეს ამბობს, ხოლო თუ კენტიანია, ყოველთვის ტყუის.

ერთხელ მწვანე რვაფეხამ უთხრა ლურჯს:

- მე 8 ფეხი მაქვს. შენ კი - მხოლოდ 6.
- არა, 8 ფეხი მე მაქვს, - წყენით თქვა ლურჯმა, შენ მხოლოდ 7 ფეხი გაქვს.
- ლურჯს მართლა 8 ფეხი აქვს, დაემოწმა იისფერი და ტრაბახით დაამატა - აი, მე კი 9 ფეხი მაქვს.
- 8 ფეხი არც ერთსა გაქვთ ჩემს გარდა, - საუბარში ჩაერთო მოღლებიანი რვაფეხა.

რომელ რვაფეხას ჰქონდა ზუსტად 8 ფეხი? (პასუხი დაასაბუთეთ).

ამოცანა 2: რამდენი მატყუარაა?

ოთახში იმყოფება 12 კაცი. მათ შორის რამდენიმე (არანაკლებ ერთისა) ყოველთვის მხოლოდ სიმართლეს ამბობს, დანარჩენები კი — სულ იტყუებიან. ოთახში მყოფთაგან თითოეულს ახურავს შავი ან თეთრი ქუდი. თითოეული მათგანი ირწმუნება, რომ დანარჩენ თერთმეტთაგან ზუსტად ოთხს ახურავს შავი ქუდი.

რამდენი მატყუარა შეიძლება იყოს ოთახში? (პასუხი დაასაბუთეთ).

ამოცანა 3: მეთევზეები

ერთმა მეთევზემ 4 თევზი დაიჭირა, მეორემ - 7. როცა ამ თევზებისაგან სუპს ხარშავდნენ, მათთან მივიდა ნაცნობი, რომელიც სოკოს საკრეფად იყო წამოსული.

სუპი შეჭამეს და სტუმარიც თავის გზით წავიდა. მეთევზეებმა ალაგებისას შეამჩნიეს, რომ სტუმარს მადლობის ნიშნად 11 ცალი სოკო დაუტოვებია.

თევზები ერთნაირია, სოკოებიც ერთნაირია, სუპიც სამივემ თანაბრად შეჭამა.

როგორ უნდა გაიყონ მეთევზეებმა ეს სოკოები? (პასუხი დაასაბუთეთ).

ამოცანა 4: ანო და ვანო

ანოს და ვანოს ერთად 24-ზე ნაკლები ვაშლი აქვთ. ვანოს ვაშლების რაოდენობა ანოსაზე მეტია, მაგრამ ანომ რომ თავისი რაოდენობა გაისამშაგოს, მას უფრო მეტი გაუხდება. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ვანო 5 ვაშლს მისცემს ანოს, ვანოს მაინც უფრო მეტი დარჩება.

რამდენი ვაშლი აქვს თითოეულს? (პასუხი დაასაბუთეთ).

ამოცანა 5: საათები

კედლის საათი უჩვენებს დღის 12 საათს. ამ დროს ნიკამ და ლუკამ თავიანთი საათებიც დღის 12 საათზე გაასწორეს. ნიკას საათი დღე-ღამის განმავლობაში წინ გარბის 12 წუთით, ხოლო ლუკასი კი ჩამორჩება 20 წუთით. კედლის საათი სწორად მუშაობს.

გაეცით დასაბუთებული პასუხები შემდეგ სამ შეკითხვას:

1) პირველად რა დროის შემდეგ უჩვენებენ კედლის საათი და ნიკას საათი ისევ ერთდროულად დღის 12 საათს?

2) პირველად რა დროის შემდეგ უჩვენებენ კედლის საათი და ლუკას საათი ისევ ერთდროულად დღის 12 საათს?

3) პირველად რა დროის შემდეგ უჩვენებენ ლუკას საათი და ნიკას საათი ისევ ერთდროულად დღის 12 საათს?